# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N2.2

ქ. თბილისი 17 თებერვალი 2016წ.

შ.პ.ს. „მაგთიკომი“ წარმოდგენილი მისი ოზურგეთის ოფისის მენეჯერის მოვალეობის შემსრულებლის თამარ ცივაძის სახით, რომელიც მოქმედებს შპს "მაგთიკომის" გენერალური დირექტორის მოადგილის ანდრია ზოდელავას მიერ 2016 წლის 10 თებერვალს გაცემული მინდობილობის საფუძველზე. შემდგომში *კამყიდველი*, ერთის მხრივ და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საწარმო - შპს „მუნიციპალური ტრანსპორტის“ წარმოდგენილი მისი დირექტორის ამბაკო გოგოტიშვილის სახით, შემდგომში – *მყიდველი*, მეორეს მხრივ ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის სახსრებით 240 (ორასორმოცი) ლარის მობილური სატელეფონო მომსახურების და ინტერნეტ მომსახურების შესყიდვა *მონო ბარათების საშუალებით.*

მომსახურების შესყიდვა შესაძლებელია მოხდეს ეტაპობრივად, *კამყიდველის* ანგარიშზე ჩარიცხული თანხების პროპორციულად. ყიდვის კოდი: CPV 64213000

## 2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

*მყიდველი* ვალდებულია:

გადაუხადოს *კამყიდველს* მომსახურების ღირებულება, ხელშეკრულების მე-3 მუხლის შესაბამისად;

*კამყიდველი* ვალდებულია:

ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის დადასტურების შემდეგ, გაუწიოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება

– დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა

## 3. ფასი და ანგარიშსწორება

ანგარიშსწორება წარმოებს ნაღდი ან უნაღდო ანგარიშწორების ფორმით;

*მყიდველს* უფლება აქვს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში 1.1. პუნქტში აღნიშნული თანხის ანგარიშსწორება *კამყიდველთან* მოახდინოს ნაწილობრივ.

## 4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელომოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრამდე.

## 5. მხარეთა პასუხისმგებლობა

წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანისთვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 6. ფორს-მაჟორი

მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის შემთხვევაში (როგორიცაა სტიქიური უბედურება, მიწისძვრა, სამხედრო მოქმედებები და დაუძლეველი ძალის მქონე მხარეთაგან დამოუკიდებელი სხვა გარემოებები), რომლებიც მთლიანად შეუძლებელს ხდიან ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.
მხარეები ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ აცნობონ ერთმანეთს ასეთი გარემოებების არსებობის შესახებ.

## 7. სადავო საკითხების გადაწყვეტა

წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე სადავო საკითხები წყდება მოლაპარაკების გზით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა წყდება სასამართლოში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 8. დასკვნითი დებულებები

წინამდებარე ხელშეკრულება სრულიად ადასტურებს მხარეთა კონსენსუსს და არანაირი ზეპირი ცვლილება ან დამატება არ განიხილება, როგორც ამ ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი;
ხელშეკრულებაში შესაძლებელია შეტანილი იქნას ცვლილებები, რომელიც გაფორმებული უნდა იყოს წერილობითი ფორმით და დამოწმებული ორივე მხარის მიერ.
ხელშეკრულება შედგენილია სამ პირად, ერთი პირი გადაეცემა გამყიდველს და ორი პირი მყიდველს. სამივე პირს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

| | |
|---|---|
| გამყიდველი: | მყიდველი: |
| **<u>იურიდიული მისამართი</u>** | **<u>იურიდიული მისამართი</u>** |
| ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. №5 | ოზურგეთის რ. ს. გურიანთა |
| **<u>საბანკო რეკვიზიტები:</u>** | **<u>საბანკო რეკვიზიტები:</u>** |
| ს.ს. "ვითიბი ბანკი" | ს.ს „თიბისი ბანკი“ |
| ცენტრალური ფილიალი | |
| ა/ა GE73VT6600000000423607; | |
| კოდი: UGEBGE22 | ა/ა **GE 86TB7677036080100004** |
| | ბანკის კოდი: **TBCBGE 22** |
| საიდენტ. კოდი: 204876606 | საიდენტ. კოდი: **237111594** |
| | საკონტაქტო ტელ: ---------- |
| მენეჯერი | დირექტორი |
| ---------- | ---------- |
| ( თ. ცივაძე ) | (ა. ფოგოტიშვილი) |